



შერიგებისა და სამოქალაქო თანაცხოვრობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

იანვარი, 2019წ.

I. შერიგებისა და ჩართულობის კოლიტიკა	2
1.1 ახალი სამშვიდობო ინიციატივები	2
ვაჭრობის წახალისება გაყოფი ხაზების გასწვრივ	4
ბანათლების შესაძლებლობების განვითარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის	5
აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა	6
1.2 საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის ფორმატები	8
1.3 შენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები	11
1.4 ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში	13
1.5 შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა	14
1.6 ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია	16
1.6.1 ჯანდაცვა	16
1.6.2 ბანათლება	17
1.6.3 საერთაშორისო ჩართულობა და წდომის აღდგენის პროექტები	18
1.6.4 საკოორდინაციო მექანიზმი	19
1.7 გაყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება. დონორთა დახმარება	20
II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია	22
2.1. სამოქალაქო და კოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფა	23
2.2. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა	24
2.2.1. პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა	25
2.3. გენდერული მეინსტრიმინტი	27
2.4. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	28
2.5. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და ხარისხიან ბანათლებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	29
2.5.1 . სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება	29
2.5.2. ზოგადი ბანათლება	32
2.5.3. უმაღლესი ბანათლება	33
2.5.4. პროფესიული ბანათლება	34
2.5.5. ზრდასრულთა ბანათლება და კვალიფიკაციის ამაღლება	34
2.6. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	35
2.7. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია	37
2.8. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება	38

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს, კოორდინირებს და ახორციელებს საქმიანობას ორი ძირითადი მიმართულებით - შერიგების, ნდობის აღდგენის, ჩართულობის პოლიტიკის ხელშეწყობა/იმპლემენტაცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება; ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

შერიგების, ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა არის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. საქართველოს მთავრობას მშვიდობიანი, თანამიმდევრული და კონსტრუქციული კურსი აქვს არჩეული.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა, მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარებაში, ასევე ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წელს წარმართა ინტენსიური მუშაობა, შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ინიციატივები და პროგრამები.

I. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა

1.1 ახალი საშვიდობო ინიციატივები

25 წელი გავიდა, რაც საქართველო მოუგვარებელი კონფლიქტების წინაშე დგას. რუსეთის სამხედრო აგრესიის 10 წლის თავზე კვლავ გრძელდება დე-ფაქტო ანექსია, მიმდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ღია და უხეში დარღვევა, მათ შორის ადგილი აქვს გალისა და ახალგორის ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ დისკრიმინაციას, რუსიფიკაციის პოლიტიკას და ქართული კვალის წაშლის მცდელობას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების და გადაადგილების უფლების შეზღუდვას, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის გახლეჩას მავთულხლართებითა და სხვა ხელოვნური ბარიერებით, უკანონო დაკავებებს და სიცოცხლის უფლების ხელყოფას, ადამიანებზე ზეწოლას და დაშინებას. საზოგადოება დგას ჰუმანიტარული გამოწვევების წინაშე. მშვიდობის შენარჩუნება მუდმივი პროვოკაციების ფონზე სახელმწიფოს ყოველდღიური საზრუნავია.

აღნიშნულ გამოწვევებსა და სირთულეებს საქართველოს მთავრობა უპირისპირდება მშვიდობასა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომებით, რასაც ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს.

2018 წელს საქართველოს მთავრობამ გაწია უპრეცედენტო ძალისხმევა მშვიდობისა და შერიგების კუთხით, რასაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებები, პრაგმატული ინტერესები, სწრაფვა განვითარებისა და უკეთესი მომავლისკენ.

სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივების მეშვეობით, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკით, ჰუმანიტარული მიდგომების გამოყენებით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ნდობის აღდგენის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამით საქართველოს მთავრობა გზას უხსნის კონსტრუქციულ თანამშრომლობას, დიალოგს საზოგადოებების სხვადასხვა წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით და ამგვარად, ზრუნავს მოსახლეობის კეთილდღეობაზე კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდეც.

2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი **სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“**.

სამშვიდობო ინიციატივა არის ცალსახად კონსტრუქციული და ემსახურება ჰუმანიტარულ მიზნებს, იძლევა სხვადასხვა საკითხების ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით გადაჭრის შესაძლებლობას, გარკვეულ შემთხვევებში სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენებით. ინიციატივა ეფუძნება მოქნილ და პრაგმატულ მიდგომას, ეხმიანება მოსახლეობის ინტერესებს და საჭიროებებს და ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული აქტორის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის, საზოგადოებრივი დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას იქონიებს გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

საქართველოს მთავრობამ სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს 2018 წლის აპრილში. საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ფართო კონსულტაციების საფუძველზე სამი მოსმენით მიიღო 2018 წლის ივნისში.

საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივამ ასევე მოიპოვა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ევროკავშირის, ცალკეული წევრი სახელმწიფოების, სახელმწიფოს მეთაურების და აშშ-ს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ინსტიტუტების მხრიდან. აღნიშნული მხარდაჭერა დაფიქსირდა არაერთ რეზოლუციასა და დეკლარაციაში, მათ შორის ევროპარლამენტის რეზოლუციაში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის შემოჭრიდან 10 წლის შემდეგ“, ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში „საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის 10 წლისთავის შესახებ“.

ინიციატივა ითვალისწინებს სამ მიმართულებას:

- ❖ ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ;
- ❖ განათლების შესაძლებლობების განვითარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის;
- ❖ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ვაჭრობის ნახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ

სამშვიდობო ინიციატივის მიზანია, არსებულ სასოფლო-სამეურნეო სახის ვაჭრობაზე დამატებითი რეგულაციების დაწესების გარეშე, გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობა, გამარტივება და გაფართოება. კერძოდ, ინიციატივა ითვალისწინებს:

- ❖ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმომობილი/წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით შიდა ქართულ ბაზარზე და ასევე საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი (DCFTA), ასევე თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სხვა ქვეყნებთან). ინიციატივა ასევე მოიცავს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმოებული და იმპორტირებული საქონლის მიწოდებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში;
- ❖ იდენტიფიცირების სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის, რომელიც გულისხმობს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრაციას ინდივიდუალური (პირადი) ნომრით და არ ხდის სავალდებულოს რეგისტრირებული პირის მიერ რაიმე ოფიციალური დოკუმენტის აღებას. პირადი ნომრით რეგისტრაცია არ გულისხმობს პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას და ემსახურება მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირის იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის ამოცანას. ამ ფორმით რეგისტრირებულ პირს შეუძლია წვდომა ცალკეულ სერვისებზე, რაც აუცილებელია სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისათვის გამყოფი ხაზების გასწვრივ. ასეთია, მეწარმე სუბიექტად ასევე გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, საბანკო ანგარიშის გახსნა, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია, გრანტის მიღება და ა.შ., რაც დღეს შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ საქართველოს თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს;
- ❖ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობისთვის გამყოფი ხაზებთან ახლოს სოფელ რუხთან, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს სავაჭრო ოპერაციებისათვის აუცილებელი მომსახურების გაწევას ერთი სარკმლის პრინციპით. ამ სივრცეში თავს მოიყრის იუსტიციის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამისი სამსახურები, საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი, მრავალფუნქციური ტრენინგ ცენტრი და ბიზნეს ინკუბატორი, ავტომანქანების ბაზრობა;
- ❖ გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების განხორციელებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის უშუალოდ სავაჭრო ოპერაციებთან მიმართებაში გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭებას. ამ სტატუსის მქონე პირებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საგადასახადო შეღავათი, კერძოდ გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გათავისუფლდნენ ქონების, მოგების, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან;

- ❖ სტატუს ნეიტრალური მარკირების შემოღებას. შიდა ბაზარზე წვდომისათვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი/წარმოებული პროდუქციის მარკირება შესაძლებელი იქნება ფაქტობრივი მისამართის (კომპანიის, ქალაქის დასახლების, ქუჩის) მინიშნებით. ექსპორტის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ექსპორტისათვის დადგენილი წესები. შესაძლებელი იქნება მეწარმის რეგისტრაციის ადგილად მიეთითოს სპეციალურ ეკონომიკურ სივრცეში რეგისტრირებული იურიდიული მისამართი (მაგალითად, სოფ. რუხი);
- ❖ გამოყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის სტიმულირების მექანიზმების ამოქმედებას, რაც გულისხმობს სპეციალური ქვე-პროგრამების შექმნას ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების ხელშეწყობისთვის. ასევე, გათვალისწინებულია სპეციალური დამოუკიდებელი ფონდის ჩამოყალიბება, სადაც მოიზიდება თანხები სხვადასხვა დონორისა და აქტორისგან, საერთაშორისო პარტნიორებისგან ან კერძო ორგანიზაციებისგან. გამოყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ფონდი მოემსახურება ინდივიდუალური და ერთობლივი ბიზნეს ინიციატივების დაფინანსებას და გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების განვითარებას.

განათლების შესაძლებლობების განვითარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის

სამშვიდობო ინიციატივის მიზანია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდა და გამარტივება, განათლების ყველა საფეხურისადმი ხელმისაწვდომობა და ხარისხიან განათლებაზე წვდომა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, ინიციატივა ითვალისწინებს:

- ❖ განათლების ყველა საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლება, სკოლის შემდგომი განათლების მოსამზადებელი ცენტრი) ჩართვას პირადი ნომრით რეგისტრაციის საფუძველზე.
- ❖ ამარტივებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას. კერძოდ:
 - ინარჩუნებს ქვოტას და სახელმწიფო გრანტს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას;
 - იძლევა ერთიანი ეროვნული გამოცდების რუსულ ენაზე და ენის გამოცდაზე აფხაზური/ოსური ენის ჩაბარების შესაძლებლობას;
 - 1+4 პროგრამაში უნარების ტესტის ნაცვლად, რომლის ჩაბარება სპეციფიური ტერმინების გამო მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, აჩენს აფხაზური და ოსური ენის ტესტის ჩაბარების შესაძლებლობას;
 - ქმნის სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების ცენტრს ნებისმიერი მსურველისათვის. აღნიშნული პროგრამის/ცენტრის ფარგლებში შესაძლებელი იქნება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტების მომზადება/გადამზადება სასურველ საგნებში. ერთწლიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის

დაძლევის შედეგად, სტუდენტს შეეძლება ბაკალავრიატზე შემდგომი სწავლის გაგრძელება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე;

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ვერ დააგროვებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისათვის საჭირო ქულებს, სთავაზობს პროფესიულ განათლებას;
- უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ პირების განთავსების ხარჯების დაფარვას.

❖ ამარტივებს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებზე წვდომას. კერძოდ:

- უზრუნველყოფს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების სტატუს-ნეიტრალური გზით აღიარებას, ელექტრონულ რეჟიმში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით;
- მოიაზრებს სპეციალური ვებ-პორტალის შექმნას არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით ხელს უწყობს უცხო ენების შესწავლას ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით;
- განათლების საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებას;
- იძლევა საგანმანათლებლო მიზნით საზღვარგარეთ მგზავრობის სხვადასხვა მოქნილ შესაძლებლობას.

❖ ამარტივებს პროფესიულ განათლებაზე წვდომას და კვალიფიკაციის ამაღლებას პირადი ნომრით რეგისტრაციის, ელექტრონული ჩარიცხვის, სწავლისა და განთავსების ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობის გაჩენით, რუხში ინოვაციების ცენტრისა შექმნით და ტექნოპარკების განვითარებით.

❖ ხელს უწყობს სამეცნიერო თანამშრომლობას სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში და საერთაშორისო პროგრამებში, მაგალითად “ჰორიზონტი 2020”, ფულბრაიტის პროგრამა, ა.შ. ჩართვის გზით.

❖ უზრუნველყოფს აფხაზური ენის დაცვასა და განვითარების სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხოლო საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით აგრძელებს ძალისხმევას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველსაყოფად.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა

უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივა ითვალისწინებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურების გამარტივებას. ასევე მარტივდება ამ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების ფაქტების დადგენა და შესაბამისი სამოქალაქო აქტების გაცემის პროცედურა.

სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“- საიმპლემენტაციო გეგმის მიხედვით საქმიანობა ხორციელდება იმისათვის, რომ საკანონმდებლო ცვლილებები სრულად ამოქმედდეს 2019 წლის დასაწყისიდან. აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს:

1. **სამართლებრივი** - შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება/არსებულ აქტებში ცვლილებების შეტანა, პროცესი დასრულდება 2019 წლის დასაწყისში.

2. **ინფრასტრუქტურული** - სოფელ რუხში სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა; საპარტნიორო ფონდის მიერ შემუშავებულია სათანადო პროექტი, რომლის განხორციელება 2019 წლის დასაწყისიდან დაიწყება.

3. **ფინანსური** კომპონენტი უკვე ამოქმედებულია- ა) სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიერ შემუშავდა **ახალი საგრანტო პროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“**, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2018 წლის 22 ნოემბერს. პროგრამა გულისხმობს, გამყოფი ხაზის გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას და ამ მიზნით გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ინდივიდუალური და ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას 7,000-დან 35,000 ლარის ფარგლებში.

ბ) იგეგმება **სპეციალური დამოუკიდებელი ფონდის შექმნა**, რომელიც სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში ხელს შეუწყობს გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს და ნდობის აღდგენას, გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო პროექტებს/ინიციატივებს, ასევე სამშვიდობო ინიციატივებს, ხალხთა შორის კონტაქტებს და დაეხმარება გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას. მიმდინარეობს ფონდის კონცეფციის შემუშავება და საერთაშორისო დონორებთან კონსულტაცია.

4. **კომუნიკაცია** - სხვადასხვა დიალოგის პლატფორმის, ხალხთა შორის კონტაქტების, ნდობის აღდგენის პროექტების, სოციალური მედიის, სახალხო დიპლომატიის და სხვა კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მყოფ საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაცნობა. არსებობს გამოხატული ინტერესი ცალკეული პირებისა და ჯგუფების მხრიდან, რაც მათ შორის, კონკრეტულ ინიციატივებს უკავშირდება.

ინიციატივის ფარგლებში კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება დაწყებულია, კერძოდ 2018 წლის 21 ნოემბერს გაიმართა სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული **საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი აბიტურიენტების მომზადების პროგრამის** პრეზენტაცია. პროგრამა გულისხმობს ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სპეციალური ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლას თბილისსა და ზუგდიდში უფასო მოსამზადებელი ცენტრის ბაზაზე. აღნიშნული პირები ცენტრში სასურველ საგანში მოემზადებიან და შემდეგ გამარტივებული წესით (ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე) უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდებიან. პროგრამის საპილოტე ვერსია 2019 წლის თებერვლიდან ამოქმედდება, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან სრული კურსი შევა ძალაში. გათვალისწინებულია ახალგაზრდების განათლების მთლიანად დაფინანსება და მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს **საქართველოს ევროინტეგრაციის** პროცესით, მათ

შორის ასოცირების შეთანხმებით, შექმნილი **სარგებელი ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის**. ამ მხრივ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება წარმოადგენს ევროინტეგრაციის კიდევ ერთ ხელშესახებ სარგებელს, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის. უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ითვალისწინებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურების გამარტივებას. სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები უკვე განხორციელდა შესაბამის სამართლებრივ აქტებში.

გარდა ამისა, სამშვიდობო ინიციატივის მთავარი მიმართულება - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმომავლი/წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად. ეს უპირველესად მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმს (DCFTA). ინიციატივის ამოქმედების შედეგად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ასევე მიეცემა შესაძლებლობა ისარგებლოს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ამ უმნიშვნელოვანესი სარგებლით.

1.2 საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის ფორმატები

2018 წელს აქტიური თანამშრომლობა წარიმართა საერთაშორისო პარტნიორობთან. არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა არსებული გამოწვევები და მათზე რეაგირების შესაძლო მექანიზმები, ასევე თანამშრომლობა უსაფრთხოების, კონფლიქტის მოგვარების, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ჰუმანიტარული მიმართულებებით.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. 2018 წლის 5 თებერვალს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-4 შეხვედრა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა სწორედ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. ასოცირების საბჭომ დაადასტურა ევროკავშირის მტკიცე პოზიცია/დამოკიდებულება და მისი გადაწყვეტი როლი საქართველოში კონფლიქტის მოგვარების პროცესში, მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის ფართო/კომპლექსური გამოყენებით, მათ შორის არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ჩათვლით. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევის, მილიტარიზაციის გააქტიურების და სხვა გამოწვევების გამო შემფოთების გამოხატვის პარალელურად ასოცირების საბჭო შეთანხმდა ფართომასშტაბიანი პოლიტიკის გაგრძელებისა და გააქტიურების მნიშვნელობაზე და გამოხატა მხარდაჭერა შერიგებისა და ჩართულობის საქმეში საქართველოს მთავრობის ძალისხმევის მიმართ, რომლის მიზანია, მოიცვას მოსახლეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ასოცირების საბჭომ აღნიშნა გამყოფ ხაზზე ხალხთაშორისი კონტაქტებისა

და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართული ზომების შემდგომი მხარდაჭერის, ასევე შერიგების ძალისხმევის ხელშეწყობის მნიშვნელობა.

2018 წლის 26 ივნისს, ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა გაიმართა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ასევე წარმოადგენდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. ევროკავშირმა კიდევ ერთხელ ცალსახად დააფიქსირა მტკიცე მხარდაჭერა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გამოითქვა შეშფოთება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ვითარების შემდგომ გაუარესებასთან დაკავშირებით. სხვა საკითხებთან ერთად მხარეებმა იმსჯელეს საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკაზე, მიმდინარე და სამომავლო ნაბიჯებზე. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკას და ამ კონტექსტში მიესალმა მთავრობის ახალ ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებდნენ მუშაობას აღნიშნული ინიციატივების რეალიზაციის მიზნით.

2018 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა *საქართველო -ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგის მეორე შეხვედრა*, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული სიტუაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე; შეხვედრაზე ევროკავშირმა კიდევ ერთხელ გამოხატა სრული მზადყოფნა მხარი დაუჭიროს სამშვიდობო პროცესს.

გაგრძელდა თანამშრომლობა *საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის* ფარგლებში, რომლის კომისიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აღნიშნულ ფორმატში აშშ მხარს უჭერს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს, ასევე აგრძელებს მხარდაჭერას და თანამშრომლობას მშვიდობის, ნდობის აღდგენისა და შერიგების მიმართულებით.

საერთო გამოწვევებთან გამკლავებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2018 წელს განვითარდა ურთიერთობები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს და მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფო კანცელარიის რეინტეგრაციის პოლიტიკის ბიუროს შორის. კერძოდ:

- ❖ 2018 წლის 17-18 მაისს თბილისში განხორციელდა უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრ ვადიმ ჩერნიშის ვიზიტი. ვიზიტის მიზანი იყო მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის საკითხებზე საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მინისტრის და სამინისტროს თანამშრომლების მიერ საოკუპაციო ხაზის მონახულება, მემორანდუმის ხელმოწერა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის, ასევე შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

- ❖ 2018 წლის 16-19 ივლისს კიევში (უკრაინა) განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა უკრაინის გამოცდილების გაზიარება და უწყებებს შორის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება.
- ❖ 2018 წლის 13 ნოემბერს კიშინოვში (მოლდოვა) გაიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის, უკრაინის დროებით ოკუპირებული ოკუპირებული ტერიტორიების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრ ვადიმ ჩერნიშის და რეინტეგრაციის საკითხებში მოლდოვას ვიცე-პრემიერის კრისტინა ლესნიკის სამმხრივი შეხვედრა. მხარეებმა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაცვალეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.
- ❖ 2018 წლის 18-19 დეკემბერს თბილისში განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის, უკრაინის დროებით ოკუპირებული ოკუპირებული ტერიტორიების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ვადიმ ჩერნიშის და რეინტეგრაციის საკითხებში მოლდოვას ვიცე-პრემიერის კრისტინა ლესნიკის ვიზიტი. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის კონფერენციაში - „კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევების პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები“, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „ელჩების კონფერენცია“-ში და მოინახულეს გამყოფი ხაზი.
- ❖ ვიზიტის ფარგლებში უკრაინის, მოლდოვის და საქართველოს სახელმწიფო უწყებებს შორის **ხელი მოეწერა მემორანდუმს ურთიერთგაგების და თანამშრომლობის შესახებ**, რის შედეგადაც შეიქმნა სამმხრივი უწყებათაშორისი პლატფორმა. პლატფორმის ფარგლებში მოხდება ინფორმაციის გაზიარება და ერთმანეთის გამოცდილების გამოყენება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით. თანამშრომლობა შეეხება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორც არის ადამიანის უფლებათა დაცვა, პროპაგანდასთან და საინფორმაციო ომთან გამკლავება, ეფექტური კონტროლის მიღმა არსებულ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან კომუნიკაცია და ნდობის აღდგენა, რაც კიდევ უფრო დაახლოებს და ხელს შეუწყობს საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას შორის არსებული თანამშრომლობის განვითარებას.

1.3 ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაიმართა ჟენევის დისკუსიების ოთხი რაუნდი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობდა მეორე ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს, სადაც ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი და დღის წესრიგის უმთავრეს თემა არის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. აღნიშნული საკითხი არის ქართული მხარის და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისათვის პრინციპული და პრიორიტეტული საკითხი, რომლის არსებით განხილვას მიზანმიმართულად ეშლება ხელი სხვა მონაწილეების მხრიდან. კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პოლიტიკა ყველა ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მომავალშიც გაგრძელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ განუყოფელი უფლების რეალიზაციისათვის.

ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფში დისკუსიების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ და ჰუმანიტარულ მდგომარეობას, კერძოდ გადაადგილების თავისუფლებისათვის დამატებითი შეზღუდვების დაუშვებლობას და ამ შესაძლებლობების გაფართოების საჭიროებას მოსახლეობის მხარედი კონტაქტების ფონზე, ჰუმანიტარული ვიზიტების, საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომის, გალისა და ახალგორის რაიონში არსებულ მძიმე მდგომარეობის და ცალსახად დისკრიმინაციული მიდგომების შეჩერების, მშობლიურ ენაზე განათლების, ასევე სხვა ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფის თაობაზე. ამ ჭრილში მნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მისიების და მექანიზმების ამოქმედება, რაც დისკუსიების მნიშვნელოვანი თემაა.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა რეგულარულად განიცდის დისკრიმინაციულ მოპყრობას. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის გალის და ახალგორის რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და მოცემულ სფეროში არსებული პაქტებითა და კონვენციებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებს.

გრძელდება ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. არსებული ინფორმაციით, ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო 2018 წელს ცხინვალის მიმართულებით დაკავებულია **96**, ხოლო აფხაზეთის მიმართულებით **28** ადამიანი. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2018 წლის 29 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საოკუპაციო ხაზის პერიმეტრზე მდებარე სოფელ ხურვალეთთან ე.წ. მესაზღვრეების მიერ ადგილობრივი მკვიდრის, 37 წლის მაია ოთინაშვილის ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავება. 5 დღიანი პატიმრობის შემდეგ ახალგორის ე.წ. რაიონულმა სასამართლომ მაია ოთინაშვილს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით მიუსაჯა 1 წლიანი პირობითი სასჯელი 6 თვიანი „გამოსაცდელი ვადით“.

მძიმე მდგომარეობაა ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კუთხით, კერძოდ, ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში დღევანდელი მდგომარეობით დარჩენილია 10 ქართული სკოლა (2017 წელს სოფელ თაგილონის სკოლა გააუქმეს; მასწავლებლები და მოსწავლეები გადაანაწილეს მეზობელი სოფლის ნაბაკევის სკოლაში). ქალაქ გალსა და ე. წ. ზედა ზონის მიმდებარე სოფლებშიც მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით ისევ უცვლელია. ქართული ენა ამ „ზონის“ 9 სკოლიდან 8-ში ისწავლება როგორც „უცხო ენა“ და თითოეული კლასის მიხედვით ეთმობა კვირაში სულ 2 საათი, აქედან 1 - ენას და 1- ლიტერატურას. ქალაქ გალის # 1 სკოლაში ქართული ენა მხოლოდ ფაკულტატურის სახით ისწავლება მე-5 კლასში.

ასევე, 1-6 კლასის ჩათლით სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ქართულის შესწავლა დაიშვება მხოლოდ მე- 7 კლასიდან. ამასთან ერთად ისეთი საგნების შესწავლა, როგორცაა ბიოლოგია, ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა ისწავლება ქართულად (საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება აკრძალულია), ხოლო ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა რუსული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. ამასთანავე, აქტიურად მიმდინარეობს ქართული სახელმძღვანელოების ხმარებიდან ამოღების პროცესი და შესაბამისად, საგნების შესწავლაც რუსული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა ასევე გრძელდება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში. ახალგორის რაიონის ქართული სკოლები (1 – 4 კლასები) გადაყვანილია რუსული სწავლების პროგრამაზე.

ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში ადგილი აქვს ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შეცვლის აქტიურ მცდელობებს. ამ მიზნით, დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონის მოსახლეობას აიძულებს ქართული გვარების შეცვლას აფხაზურით, რასაც უწოდებს „ისტორიულ ფესვებთან“ („სამურზაყანოს აფხაზებთან“) დაბრუნების პროცესს. 2017 წლის მონაცემებით, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამურზაყანოს აფხაზთა საბჭოს“ ინფორმაციით გალის რაიონში 300 განცხადება შევიდა გვარისა და ეროვნების შეცვლის შესახებ.

ამ გზით დე ფაქტო რეჟიმი ცდილობს წაშალოს ქართული კვალი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს ქმედება მიზანმიმართულად ხორციელდება არა მხოლოდ ადამიანების იდენტობის შეცვლისათვის, არამედ ქალაქების, სოფლებისა და ქუჩების სახელწოდებების შეცვლის კუთხითაც, რათა მთლიანად მოხდეს ქართული კვალის წაშლა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

პარალელურად, გალის რაიონში მიმდინარეობს აფხაზური ე.წ. პასპორტების აღების პროცესიც; მოსახლეობა იძულებულია აიღოს „ბინადრობის მოწმობა“, რომელიც შემოღებულ იქნა "აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" ე.წ. კანონის შესაბამისად და „ძალაშია“ 2016 წლის 1 აპრილიდან. დღეისათვის არსებული მონაცემებით ე.წ. ბინადრობის მოწმობის მიღებაზე გალის რაიონში უკვე გაკეთებულია 7784 განაცხადი და აქედან, გაცემულია 3504 „მოწმობა“.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა 2018 წლის 22 თებერვალს ცხინვალში საქართველოს მოქალაქის, იძულებით გადაადგილებული პირის, არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საკითხს. 2018 წლის 22 თებერვალს ახალგორის რაიონში ადგილობრივი ე.წ. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა უკანონოდ დააკავეს

საქართველოს მოქალაქეები არჩილ ტატუნაშვილი, იოსებ პავლიაშვილი და ლევან ქუტაშვილი. საქართველოს მოქალაქეების ცხინვალის იზოლაციაში გადაყვანის შემდგომ განხორციელდა არჩილ ტატუნაშვილის სასტიკად ცემა და წამება, რამაც მისი სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვია. არაერთი მოთხოვნის და საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ცხედრის ოჯახისა და ქართული მხარისთვის გადმოცემაზე. აღნიშნული 26 დღიანი დაგვიანებით ისეთი ფორმით განხორციელდა, რომ მაქსიმალურად რთული გამხდარიყო გარდაცვალების მიზეზის დადგენა.

დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი თემა ასევე იყო 2016 წლის 19 მაისს სოფელ ხურჩაში საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობა და აღნიშნულ დამნაშაულში ბრალდებული პირის დაუყოვნებლივ დაკავების და დასჯის საკითხი. ქართული მხარის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მკვლელი ამ დრომდე თავისუფალია. ქართული მხარე აგრეთვე მუდმივად აყენებდა დავით ბაშარულის მკვლელობის საქმის გამოძიების და ქართული მხარისთვის სათანადო მასალების გადმოცემის საკითხს.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, მეორე ჰუმანიტარული ჯგუფის ფარგლებში გრძელდებოდა ისეთი თემების განხილვა, როგორც არის: არქივების საკითხებზე თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და სხვა ყველა ის საკითხი, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. აღნიშნული საკითხების ირგვლივ მიმდინარეობდა მუშაობა და გარკვეული თანამშრომლობა, რაც ქართული მხარის კონსტრუქციული და ჰუმანიტარული მიდგომების პირობებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერით, გაგრძელდება და განვითარდება. თანამშრომლობის ერთ-ერთი მსგავსი მაგალითია აფხაზეთის რეგიონში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავების მიზნით 2018 წლის ივნისში რომში (იტალია) გამართული შეხვედრა ქართველ და აფხაზ სპეციალისტებს შორის. მონაწილეებმა განიხილეს არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო ნაბიჯები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი სისტემატურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მუშაობაში. თვეში ერთხელ აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ერგნეთისა და გალის შეხვედრებში, სადაც რეგულარულად განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა 6 შეხვედრა გალში და 7 შეხვედრა ერგნეთში. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების არაკონსტრუქციული მიდგომის გამო, შეხვედრები გალში შეწყდა 2018 წლის ივნისიდან, ხოლო ერგნეთში შეხვედრები 2 თვის მანძილზე (ოქტომბერი-ნოემბერი) იყო შეწყვეტილი და განახლდა დეკემბრის თვეში.

1.4 ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვნად განიხილავს ქალთა როლს და მათი პოტენციალის გამოყენებას სამშვიდობო პროცესებში და აგრძელებს ნდობის მშენებლობასა და შერიგების პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობას. სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად არის

ჩართული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფორმატში, ჩატარდა 5 გაცვლითი საინფორმაციო შეხვედრა (3 - თბილისი, 1- პერევი, 1- ერგნეთი) ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის მონაწილეების, ადგილობრივი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემის, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მონაწილეობით. შეხვედრებზე განხილული იყო გამყოფ ხაზზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და გამოწვევები, ასევე სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2018 წელს გამართული ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ბოლო რაუნდზე შედგა საინფორმაციო შეხვედრა უშუალოდ ქალთა საკითხებზე. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით 2018 წელს დაიწყო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი პროექტების განხორციელება ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად. საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 17 ქალს მიეცა შესაძლებლობა გაეღრმავებინა თეორიული ცოდნა და გაეძლიერებინა პრაქტიკული უნარ-ჩვევები საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. ასევე, 2018 წლის განმავლობაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ხაშურის, დუშეთის, კასპის მუნიციპალიტეტებში კონფლიქტით დაზარალებული ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან გაიმართა 3 საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ. აღნიშნული საქმიანობა უწყებამ წარმართა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან საქართველოში.

1.5 შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვდრის ბარკვევა

შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018 წლიდან აქტიურად ჩაერთო 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებულ ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო მექანიზმში.¹

¹ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამთავრობო რეორგანიზაციიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში გადავიდა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საკითხები

საკოორდინაციო მექანიზმის საქმიანობა არის მკაცრად განსაზღვრული, მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის; ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი 2010 წელს ჩამოყალიბდა და მას შემდეგ 12 შეხვედრა გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით. არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სსიპ- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „ჰერმესის“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2018 წლის აპრილში იდენტიფიცირებულ და ოჯახებისთვის გადაცემულ იქნა 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 22 პირის ნეშტი. განხორციელდა ამოცნობილი პირების გადმოსვენება, მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნეშტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და ძმათა სასაფლაოზე მათი სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა. იდენტიფიცირებულ პირთა ნაწილი, ოჯახების სურვილით და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, გადასვენებულ და დაკრძალულ იქნა სხვადასხვა რეგიონებში.

2018 წლის მაისში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეობით, 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის სამედიცინო ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის (FWG) რიგით მე-12 შეხვედრა გაიმართა, რომლის ძირითადი მიზანი 2018 წლის ექსპერიმენტების გეგმის და გასახსნელი სამარხების შეთანხმება იყო.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხვედრის დადგენის პროცესის წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამარხების მდებარეობასა და გაუჩინარების გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას. პროცესში ჩართული მხარეების ძალისხმევის შედეგად, 2018 წელს მოძიებულ იქნა სამარხების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა და მთლიანობაში 2018 წელს 59 სამარხის გახსნის ორგანიზება და 107 ნეშტის ექსპერიმენტება მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა უმრავლესობა უკვე დარეგისტრირებულია, კვლავ რჩება ოჯახების გარკვეული რაოდენობა, რომელთაც მათი ოჯახის წევრის გაუჩინარების შესახებ არ განუცხადებიათ. 2018 წელს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან თანამშრომლობით, 100-მდე ახალი შემთხვევა დარეგისტრირდა და აღნიშნული პირები ჩართულ იქნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ქართულ სიაში.

უგზო- უკვლოდ დაკარგულ პირთა ნეშტების იდენტიფიცირების დაჩქარების გეგმის შესაბამისად, ასევე აქტიურად გაგრძელდა ბიოლოგიური ნიმუშების გამოკვლევა. 2018 წელს განხორციელდა 600-მდე გენეტიკური საექსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ 1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება.

2018 წლის 3 და 4 დეკემბერს, ერევანში 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული ქართულ-

აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის მეთორმეტე და სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მეცამეტე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მისი ნეიტრალური შუამავლის სტატუსის შესაბამისად თავმჯდომარეობდა და გარდა 2018 წელს მიღწეული შედეგებისა, განხილულ იქნა კონკრეტული სამომავლო ნაბიჯები.

საქართველოში 1990-იანი წლებისა და 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად 2400-ზე მეტი ადამიანია უგზო-უკვლოდ დაკარგული, მათ ოჯახებს კი წლების განმავლობაში გაურკვევლობასა და მუდმივი მოლოდინის რეჟიმში უწევთ ცხოვრება. აღნიშნულ შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით გაუჩინარებული ადამიანების ხვედრისა და ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, ჩამოყალიბდა ორი საკოორდინაციო მექანიზმი.

1.6 ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის აქტიურ განხორციელებას. განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა. აქცენტი კეთდებოდა ისეთ მიმართულებებზე, როგორც არის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობა, მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხალხთა შორის კონტაქტისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა და საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველყოფა.

1.6.1 ჰანდაცვა

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამარტივება. ამ მხრივ **გრძელდებოდა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება**, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურება საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევს ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს.

2018 წლის არასრული მონაცემებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რეფერალური პროგრამით მომსახურება მიიღო 1,504 პაციენტმა (აფხაზეთის რეგიონი - 1162, ცხინვალის რეგიონი - 342).

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებს ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების, მათ შორის იმუნიზაციის, B ჰეპატიტის და ვეტერინარული

ვაქცინების, დიაბეტის, C ჰეპატიტის ტესტების, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკების და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიწოდებას, რომელთა თვითღირებულება წელიწადში 500 000 ლარზე მეტს შეადგენს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს პერიოდულად გადაეცემა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი. 2018 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სასწრაფო დახმარების 1 მანქანა.

2018 წელს აფხაზეთის რეგიონისთვის გადაცემული სამედიცინო საშუალებების და ტექნიკის ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 1 მილიონი ლარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები აგრძელებენ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას. განიხილება აღნიშნული პროგრამის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ 2018 წელს შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი ლარი.

1.6.2 განათლება

საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამარტივება.

მთავრობა აგრძელებდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული პროცედურებით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რასაც თან ერთვის ქართულ ენაზე მოსამზადებელი ერთწლიანი კურსი, ხოლო შემდეგ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტის მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე. "1+4" პროგრამის ფარგლებში სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური პროცედურის უფრო გამარტივების და მოქნილობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. შედეგად, განმცხადებლის სახელით აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე აღიარების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა ასევე მიეცა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

1.6.3 საერთაშორისო ჩართულობა და ნდობის აღდგენის პროექტები

საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებდა დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული ახალი სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ერთ-ერთი მიზანი არის სწორედ საზოგადოებრივი დიალოგის ხელშეწყობა და კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის სხვადასხვა თემების ირგვლივ თანამშრომლობისთვის საფუძვლის შექმნა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებდა ყველა შესაძლებლობას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობდა დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის, აგრეთვე მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩართულობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ მიერ სხვადასხვა ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას. აპარატის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და თემატური დიალოგის წარმოება. 2018 წელს სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 14 ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში.

2018 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი ნდობის აღდგენის პროექტი განათლების, აფაზური ენის განვითარების, ჯანდაცვის, ახალგაზრდების ურთიერთობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, არქივების, კულტურული მემკვიდრეობის და სხვა მიმართულებით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2018 წელს ევროპის საბჭომ განახორციელა შემდეგი ორმხრივი ნდობის აღდგენის პროექტები:

- ❖ ქართველი და აფხაზი საარქივო მასალების ექსპერტთა შეხვედრა ბუდაპეშტში (უნგრეთი), რომში (იტალია), პარიზში (საფრანგეთი) და ვენეციაში (იტალია) საბჭოთა კავშირის პერიოდში აფხაზეთის რეგიონში ანტი-საბჭოთა გამოსვლების თემაზე ერთობლივი პუბლიკაციის მომზადების მიზნით;
- ❖ ქართველი და აფხაზი ექიმების შემდგომი შეხვედრა ვენეციაში (იტალია) ნარკოტიკული დამოკიდებულების პრევენციისა და მკურნალობის საკითხებზე;
- ❖ ქართველი და აფხაზი ექიმების ერთობლივი ტრენინგი ლისაბონში (პორტუგალია);
- ❖ აფხაზური ენის მცოდნე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების შემდგომი ტრენინგი სინქრონული თარგმანის ტექნიკაში ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი);
- ❖ ქართველი და აფხაზი ფსიქოლოგების და ფსიქიატრების ტრენინგი სტამბოლში (თურქეთი) ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვის მეთოდოლოგიის თემაზე;
- ❖ ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობა სამშვიდობო ბანაკში ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი);
- ❖ არქიტექტურულ ნაგებობათა კონსერვაციის თემაზე ევროსაბჭოს ექსპერტების ლექციები სოხუმში;

- ❖ ქართველი და აფხაზი ექიმების ტრენინგი პარიზში (საფრანგეთი) ტუბერკულოზის და ინფექციური დაავადებების მკურნალობის თემაზე.

იმავდროულად, საქართველოს მთავრობა აგრძელებდა მუშაობას დონორთა მხრიდან არსებული დახმარების გაგრძელებისა და დამატებითი დახმარების მოძიებაზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელს უწყობდა და მხარს უჭერდა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სხვადასხვა ჰუმანიტარული და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას. პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმდინარეობდა შეხვედრები და კონსულტაციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი ჩართულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით. რეგულარული თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან განიხილებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის, ჯანდაცვისადმი წვდომის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და სხვა საკითხები, მათი გადაჭრის კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები, ასევე საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები. 2017 წლის 19 ივლისს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეხვედრა გამართა აფხაზეთის რეგიონში Abkhazia Strategic Partnership (ASP) ფარგლებში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა, მიმდინარე პროექტები, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები.

რეგულარული შეხვედრები ასევე მიმდინარეობდა სამოქალაქო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საექსპერტო წრეებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში ხორციელდებოდა ინფორმაციის გაცვლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობასთან, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივასთან დაკავშირებით, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების და მათ წინაშე არსებული გამოწვევების მიმართულებით.

საყურადღებოა, რომ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით დაფინანსდა და დაიწყო დამატებით 64 პროექტი.

1.6.4 საკოორდინაციო მექანიზმი

დამორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის „ჩართულობის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ინარჩუნებს არაფორმალურ კონტაქტებს აღნიშნულ საზოგადოებებს შორის, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად აწვდის სხვადასხვა სახის მედიკამენტებს და დახმარებას უწევს საერთაშორისო ორგანიზაციებს ნდობის

აღდგენის პროექტების განხორციელებაში. გარდა ამისა, საკოორდინაციო მექანიზმი უზრუნველყოფს აფხაზეთის რეგიონისთვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნების და მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდებას.

2018 წელს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს გადაეცა ვეტერინარული ვაქცინები და ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო პრეპარატები, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესაწამლი ტექნიკა, ფერომონები, სპეციალური აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 600,000 ლარზე მეტი.

გარდა ამისა, საკოორდინაციო მექანიზმმა:

- ❖ ჩაატარა ქართველი და აფხაზი ექიმების ტრენინგი ისრაელში მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის საკითხებში;
- ❖ დააფინანსა ზურაბ დანელიას სახელობის კავშირი „თანადგომა“-ს პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აფხაზეთის რეგიონში სამი სამშობიარო ბლოკის აღჭურვა;
- ❖ დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციის „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობის დახმარება და ცნობიერების ამაღლება ცხოველთა ჯანდაცვის საკითხებში;
- ❖ დააფინანსა აფხაზეთის რეგიონში შშმ ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო აღჭურვილობის გადაცემა;
- ❖ ჩაატარა კონფლიქტის თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტების ტრენინგი სენსიტიური თემების გაშუქების საკითხზე.

1.7 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება. დონორთა დახმარება

სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2013 წლიდან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად კოორდინაციას უწევს გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცალკეული ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას. 2013 წლიდან მოყოლებული აღნიშნულ სოფლებში პერმანენტულად ხორციელდება მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მთელი რიგი სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ღონისძიებები. 2018 წელს კომისიის საქმიანობის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა:

- ❖ **გათბობით უზრუნველყოფა:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყო 2 435 600 ლარი. იმ ოჯახებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, აბონენტზე დაერიცხათ 200 ლარი, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი

აირის აბონენტებად, გადაეცათ 200 ლარი. აღმწერი დახმარებით სულ ისარგებლა 12178 ბენეფიციარმა, მათ შორის: გორის მუნიციპალიტეტიდან - 7909 ბენეფიციარი; ხაშურის მუნიციპალიტეტიდან - 194 ბენეფიციარი; კასპის მუნიციპალიტეტიდან - 527 ბენეფიციარი; ქარელის მუნიციპალიტეტიდან - 2875 ბენეფიციარი; საჩხერის მუნიციპალიტეტიდან - 366 ბენეფიციარი; ონის მუნიციპალიტეტიდან - 138 ბენეფიციარი; დუშეთის მუნიციპალიტეტიდან - 169 ბენეფიციარი.

სამთავრობო კომისიამ 2018 წლის 5 ნოემბერს ასევე მიიღო გადაწყვეტილება, ზემოხსენებულ სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ოჯახზე 200 ლარის გამოყოფის თაობაზე. შესაბამისად, 2019 წელს 13 042 ოჯახს გამოეყო დაფინანსება, მათ შორის: იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობა დარეგისტრირებულია ბუნებრივი აირის აბონენტად 12 098-ს, ხოლო იმ სოფლებში სადაც გაზიფიცირება ჯერ არ დასრულებულა 944-ს. ამ მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 2 608 400 ლარი;

- ❖ **გაზიფიკაცია:** დასრულდა გაზიფიკაცია, გაზის ქსელზე დაერთება და აბონენტად რეგისტრირება გორის, კასპის, ქარელის, ხაშურისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში. (19 მლნ. ლარი); აბონენტთა რაოდენობა აქტუალური მდგომარეობით შეადგენს 19 728-ს;
- ❖ **წყლით უზრუნველყოფა:** მოეწყო წყლის ჭაბურღილები, საქლორატორიები და სადაწნეო კომპლექსები 33 სოფელში; კერძოდ, მოეწყო 32 ჭაბურღილი, 32 საქლორატორი და 31 სადაწნეო კომპლექსი. წყლის გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია გამყოფი ხაზის მიმდებარე 10 სოფელში. აგრეთვე, ქსელის მოწყობის პროექტირება დასრულებულია 21 სოფლისათვის. მოწესრიგდა სარწყავი სისტემები, 5 სატუმბი სადგური;
- ❖ **გზების რეაბილიტაცია:** განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის საერთო ჯამში 133 კმ. სიგრძის გზის საფარის რეაბილიტაცია (მოასფალტება);
- ❖ მოეწყო და აღიჭურვა 45-ზე მეტი ამბულატორია;
- ❖ **განათლება:** 2017-2018 სასწავლო წელს გამოეყო ხაზის სოფლებიდან დაფინანსდა 1193 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2 500 000 ლარი. დამატებით ფინანსდებიან სტუდენტები (700 სტუდენტი) სოციალური პროგრამის ფარგლებში; 2018 წლის 5 ნოემბერს კომისიის გადაწყვეტილებით 2018-2019 სასწავლო წელს ასევე დაფინანსდება 1500-მდე სტუდენტი. დაფინანსებისთვის საჭირო თანხა სავარაუდოდ შეადგენს 3 მლნ ლარს;

2017-2018 სასწავლო წელს „სასწავლე საქართველოსთვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 12 კონსულტანტ-მასწავლებელი იქნა მივლენილი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში:

- ქარელის რაიონის სოფელ ატოცში ქართული ენის და ქიმის მასწავლებელი;
- დუშეთის რაიონის სოფელ არლუნში ბიოლოგიის მასწავლებელი;
- კასპის რაიონის სოფელი კოდისწყაროში ინგლისურის მასწავლებელი;
- მესტიის რაიონის სოფლებში -უშგული, ნაკრა, ჭუბერი, მულახი და ხაიში-მათემატიკის, 2 ქართულის, 2 ინგლისურის და 2 მუსიკის);

- ონის რაიონის სოფელ ღებში გეოგრაფიის, სპორტის და ინგლისურის მასწავლებლები.
- კონსულტანტ-მასწავლებლები ეხმარებიან ადგილობრივ პედაგოგებს, ატარებენ დამატებით გაკვეთილებს და ჩართული არიან არაფორმალური განათლების ხელშეწყობის სხვადასხვა პროექტებში.
- ❖ „აწარმოე საქართველოში“ - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წახალისდა მიკრო და მცირე ბიზნესი (205 ბენეფიციარი);
- ❖ **სოფლის მეურნეობა:** „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 152 ჰა. მიწის ფართობზე 38 მრავალწლიანი ინტენსიური ტიპის თანამედროვე ბაღის გაშენება; მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოიხსნა, დამუშავდა და დაითესა 17 438 ჰექტარი მიწა;
- ❖ **მერქნული მასალა:** სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყო 15,027 მ3 მერქნული რესურსი.

II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, საერთო მოსახლეობის (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გარდა) 13.2 % შეადგენენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ეფექტური განხორციელება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვას, სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მეორე მხრივ, უზრუნველყოს მათი კულტურის მხარდაჭერა, ტოლერანტული გარემოს განმტკიცება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ვრცელდება, როგორც ეთნიკური უმცირესობების მსხვილ ჯგუფებზე, ასევე ითვალისწინებს დისპერსულად განსახლებული და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის ხელშეწყობას, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. ასევე, ხელმძღვანელობს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილ სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია თემატური სამუშაო ჯგუფები, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით განიხილება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პროექტი/პროგრამა და ღონისძიება სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში.

გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, რაც მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაუმჯობესებისა და სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

2.1. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფა

2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაცია²;
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში განთავსდა ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ 15 ვიდეო-რგოლი;
- ❖ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ამომრჩევლებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ❖ ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.cesko.ge) კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შესაძლებელი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ❖ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები;
- ❖ განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით;
- ❖ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა

² საარჩევნო ბიულეტენი; ამომრჩეველთა ერთიანი სია; ბიულეტენის შევსების წესი; კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებები კენჭისყრის დღეს; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები; გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები; სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება; ინსტრუქცია და ვიდეო რგოლი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქვევის ნორმების დაცვის შესახებ; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“

მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში³. ცესკოსთან არსებულმა სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი), საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების 10 პროექტი საერთო ღირებულებით - 219 062 ლარი.

- ❖ საარჩევნო ადმინისტრაციამ და ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა განახორციელა შემდეგი საინფორმაციო-სასწავლო პროექტები: „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, „საარჩევნო სამართალი“, „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“;

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილი იყო 346 საარჩევნო უბანი: ქართულ-აზერბაიჯანული – 209 უბანი; ქართულ-სომხური – 133 უბანი; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი. საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 43 352 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 1639 წევრს (ეთნიკურად სომეხი – 762 წევრი; ეთნიკურად აზერბაიჯანელი – 877 წევრი);

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გააქტიურდა საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა, რის შედეგადაც ხელი შეეწყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ შექმნიათ პრობლემები სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, მათ მიეწოდებოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტება სახელმწიფო ან მათთვის გასაგებ ენაზე.

2017 წლის 14 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას. პროგრამის ფარგლებში, შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე 142-მა (ხოლო 2017 წელს, საპილოტე პროგრამის ფარგლებში - 65) ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

2.2. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

³ ცესკოს 2018 წლის 22 იანვრის №9/2018 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები; ცესკოს 2018 წლის 6 აპრილის №93/2018 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები;

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული არიან დარგობრივი სამინისტროები.

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ბოშათა თემის წარმომადგენლების გაძლიერებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრა სტრატეგიული ამოცანები. მათ გადასაჭრელად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის, „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ პროგრამის ფარგლებში 2017-2018 წლებში განხორციელდა არაერთი პროექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბოშა ახალგაზრდების მიერ ბოშების სოციალიზაციის მიმართულებით ინიცირებული პროექტები. მათგან დაფინანსდა 6 პროექტი, საერთო ღირებულებით - 24 464.00ლარი, რომელშიც ჩართული იყო 54 ახალგაზრდა და 111 მოხალისე მოსწავლე და ახალგაზრდა.

არაფორმალური განათლების კომპონენტების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ბოშების ჩართულობას ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში. 2018 წელს, სკოლებში სწავლობს მათი უპრეცედენტო რაოდენობა - 263 ბოშა მოსწავლე;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პანკისის ხეობის განვითარების საკითხებზე.

2.2.1. პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა

პანკისის ხეობის განვითარების პროგრამის შემუშავების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჯერ კიდევ, 2017 წლის მაისიდან, მოსახლეობის ინტერესებიდან და ხეობის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე დაიწყო ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროებების კვლევა. ამ მიზნით, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ ფარგლებში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, 2018 წელს მომზადდა პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა და იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. აქტიურად იმართებოდა შეხვედრები და კონსულტაციები პანკისის ხეობის მოსახლეობასთან, უხუცესთა საბჭოსა და ქისტ ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებთან, სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ხეობის პრობლემატიკასა და განვითარების საკითხებზე მუშაობენ, და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

აღნიშნული პროგრამით პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა,

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კულტურის მხარდაჭერა/პოპულარიზაცია, ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება, ახალგაზრდების მხარდაჭერა და გაძლიერება, და ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კონკრეტული აქტივობები, მათ შორის:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით წარიმართა **საინფორმაციო კამპანია** სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ. პანკისის ხეობის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, მათ შორის, საგანმანათლებლო შესაძლებლობების, პროფესიული განათლების და დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ.
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად განხორციელდა პანკისის ხეობის ქალების ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული **პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ“**. პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში დაგეგმილ ორდღიან სემინარში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგმა და დირექტორმა ქალბატონებმა (20 ადამიანი), რომელთაც საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ემსჯელათ და განეხილათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ჩართულიყვნენ კულტურულ პროგრამაში, დაეთვალისწინებინათ საქართველოს დედაქალაქი. პროექტის მეორე ეტაპზე, 2019 წელს გათვალისწინებულია მონაწილეთა სასწავლო ვიზიტი ქ. ბრიუსელში, სადაც ისინი შეხვდებიან ევროპელ კოლეგებს და გაეცნობიან საგანმანათლებლო სისტემას და შეხვდებიან ევროპელ კოლეგებს.

ვიანახური კულტურის პოპულარიზაციისა და კულტურული დიალოგის გაძლიერების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მხარდაჭერილ და განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ქალთა კავშირ „კავკასიელ ქალთა კონგრესის“ ორგანიზებითა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით **ქისტო განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამო** გაიმართა.
- ❖ მწერლის, განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში **ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე:** „მათე ალბუთაშვილის ბიოგრაფიული შტრიხები და შემოქმედება: პანკისის ხეობა დროისა და სივრცის ჭრილში“. კონფერენციაში მონაწილეობა ქ. თბილისისა და სოფლების: დუისის, ჯოყოლოსა და ჩარგლის სკოლების ოცმა მოსწავლემ მიიღო;

- ❖ **ვანახური კულტურის დღეები** - სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ქ. ფოთის „ახალი საქართველოს უნივერსიტეტის“ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - შესრულდა მუსიკალური ნომრები, ჩატარდა საჯარო ლექცია ქისტი ხალხის ფენომენზე ქართულ სინამდვილეში და ქართულ-ვანახურ ურთიერთობებზე, გაიმართა ვანახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია.
- ❖ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა **ქისტი მწერლისა და პოეტის, მაია მარგოშვილის წიგნის პრეზენტაცია**. კრებულში, სახელწოდებით „თეთრი ღამეების კავკასიური სონატა“, შესულია ავტორის ლექსები და ნოველები.
- ❖ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სხვენში **პანკისის ხეობის სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ დადგმული სპექტაკლის - "ღია შუშაზანი" ჩვენება გაიმართა**. მასში დამამთავრებელი კლასების 10-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.
- ❖ პანკისის ხეობის სოფელ დუისში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **გიგი ხორნაულის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიების** ფარგლებში გაიმართა მისი წიგნების პრეზენტაცია, რომელშიც შესულია მოთხრობები ქისტებზე. მწერალს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ქისტებთან, რაც თავის შემოქმედებაში ასახა კიდევ - მის მოთხრობებში მოთხრობილია ქართველი და ქისტი ხალხების გამორჩეული ძმობისა და მეგობრობის შესახებ.
- ❖ სოფელ დუისში გაიმართა დუი დიშნელის სახელობის **დოდი**, რომელიც მიეძღვნა ქისტების პანკისის ხეობაში დასახლების 200 წლის თავს, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები.
- ❖ **„ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში** განხორციელდა გაცნობითი ტური დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროექტის „ახალგაზრდა ევროპელ ელჩების“ მონაწილე თანატოლგანმანათლებლებმა და მოსწავლეებმა პანკისის ხეობიდან.
- ❖ **მოსწავლეები პანკისის ხეობიდან** ასევე ეწვივნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სადაც გაეცნენ სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით არსებულ ვითარებას და იმსჯელეს მათთვის საინტერესო ინიციატივებზე.

2.3. გენდერული მენისტრიმინტი

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გენდერული თანასწორობის (ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების) საკითხებთან მიმართებაში ცნობიერების ამაღლებას, ქალთა საჭიროებების განსაზღვრას და ამ კუთხით არსებული გამოწვევების განხილვას.

- ❖ გაგრძელდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთობლივი ინიციატივის

ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან პარტნიორობით მიმდინარე პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული მობილური ჯგუფის წევრებმა 120 ტრენინგები ჩაატარეს სულ: 3 რეგიონის (11 მუნიციპალიტეტი) 68 სოფელში (3465 ბენეფიციარი). ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულებით საინფორმაციო კამპანიამ შედეგი გამოიღო და აღნიშნება ადრეული ქორწინების შემთხვევების კლების დინამიკა.

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელმწიფო მომსახურეობის სერვისებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი-წალკა, სამცხე-ჯავახეთი - ნინოწმინდა, კახეთი - იორმულანლო, ახალსოფელი).
- ❖ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა აღნიშნული მიმართულებით მათი ცოდნისა და უნარჩვევების გაღრმავებას. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ და განვაავითაროთ ბიზნესი“. კონკურსის შედეგად შერჩეულ თექვსმეტ მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა ამაღლებინა თეორიული ცოდნა და განეხილათ საინფორმაციო საკომუნიკაციო პრაქტიკული უნარები, მოემზადებინა კონკრეტული ბიზნეს გეგმები.
- ❖ ქალების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მიზნით შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან (მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპანახში და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში).

2.4. მედიასა და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება წამყვანი როლი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

ტელემაუწყებლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ 18:00 და 20:00 საათიანი გამოშვების ტრანსლირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი - „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“ - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - www.1tv.ge.

რადიომუწყებლობა. 2018 წლის განმავლობაში ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“ (ქრონომეტრაჟი - 40წთ). გადაცემის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული სირთულეები, საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეთნოსების კულტურა, არსებული გამოწვევები, ტრადიციები და თავისებურებები.

ასევე, რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი (ქრონომეტრაჟი - 25წთ) ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

ბეჭდვითი მედია. წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

2.5. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და ხარისხიან განათლებასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2.5.1 . სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. არაქართულენოვან სკოლებში განხორციელდა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე. პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 1080 მსმენელი.

პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ასევე ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევას. ამ მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი:

- ❖ 121 კონსულტანტ-მასწავლებელი;
- ❖ 86 დამხმარე მასწავლებელი;
- ❖ 77 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი;

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურსცენტრების, საჯარო სკოლების თანამშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრს⁴ და მობილურ ჯგუფებში, ენის ფლობის A1, A2, A2+, B1, B1+ დონის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზნით გამოცხადდა და ჩატარდა მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგადაც შეირჩა 14 მასწავლებელი;
- ❖ სკოლა ახორციელებს პროექტს - „პროფესიული განათლების ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობებისთვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს საქართველოში პროფესიული განათლება, დაეხმაროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, სრულფასოვნად დაეუფლონ სასურველ პროფესიას, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10 ჯგუფი. თითოეულმა დაასრულა მუშაობა B1+ დონის კონკრეტული დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელოს შექმნაზე, მიმდინარეობს მათი ბეჭდვა;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ორი ახალი დარგობრივი მიმართულების - A2+ დონის პედაგოგებისათვის, B1+ დონის - სამოქალაქო განათლება - პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც სწავლება საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ქუთაისში, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ორ ჯგუფში (ეთნიკური უმცირესობის 26 წარმომადგენელი), მათგან წარმატებულ 18 კურსდამთავრებულს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 10 ახალი დარგობრივი მიმართულების B1+ დონის - პროგრამები: საექთნო საქმე, პედაგოგებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვა, აგრონომია, ელექტრობა, სასურსათო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მშენებლობა, მეცხოველეობა და ტრანსპორტი.
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განვითარების, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების, პედაგოგთათვის დარგობრივი მიმართულებით სწავლების განსახორციელებლად ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები, პედაგოგებისა და რეგიონული სასწავლო ცენტრების ადმინისტრატორთა მონაწილეობით;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი

⁴ ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი

და კახეთი, სწავლა დაასრულა 2017 წელს ჩარიცხულმა 81 ჯგუფის 1,072-მა და 2018 წელს ჩარიცხულმა 144 ჯგუფის, ეთნიკური უმცირესობების 2,047-მა წარმომადგენელმა;

- ❖ 2018 წელს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ჩარიცხა 3403 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათგან 171 - მობილური ჯგუფი 66 სოფელში;
- ❖ დეკემბრის მონაცემებით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით, 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში, სწავლებას გადის ეთნიკური უმცირესობების 1,361 წარმომადგენელი;
- ❖ აღსანიშნავია, რომ 2018 წლის სექტემბრიდან ჟვანიას სკოლა სახელმწიფო ენის კურსებს ახორციელებს საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საწყის საბრძოლო მომზადებას გადიან. A1 დონის ენის კურსი გაიარა 303-მა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა.
- ❖ სსიპ-ის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ UNHCR-ის რეგიონულ წარმომადგენლობასთან ერთად განახორციელა პროექტი - „ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილებით“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა კომპაქტდისკი, 12 აუდიო გაკვეთილითა და შესაბამის ილუსტრაციებით. კურსი დაეხმარება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ, თავშესაფრის და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებზეც ვრცელდება UNHCR-ის მანდატი ქართული ენის საბაზისო ცოდნის მიღებასა და ინტეგრირებაში.
- ❖ სკოლის მიერ მომზადებული ყველა სახელმძღვანელო და აღნიშნული აუდიო გაკვეთილები განთავსდებოდა სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე www.zspa.ge (აუდიო გაკვეთილები აგრეთვე UNHCR-ის პარტნიორ ვებსაიტებზე). ელექტრონული რესურსები უფასოა ნებისმიერი მსურველისთვის.
- ❖ სახელმწიფო ენის პოპულარიზების მიზნით სკოლამ გამოაცხადა ესეების კონკურსი - „ჩვენი თაობის პრივილეგია“ - რომლის მონაწილეთა (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები) გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა სკოლის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე თბილისში, საქართველოს პარლამენტის რუსთაველის დარბაზში.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები: სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებულ „მეგობრობის სახლში“ გაგრძელდა ქართული ენის სწავლების პროგრამა.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით,

არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების მოსწავლეებისთვის ჩატარდა ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი სახელწოდებით „ჩემი პირველი ქართული როლი“. კონკურსის მიზანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა, სახელმწიფო ენაზე სამეტყველო კომპეტენციების განვითარება და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა იყო. საკონკურსო ნამუშევრების (სპექტაკლების) შეფასების კომისიის მიერ სამი საპრიზო ადგილი და ჟიურის სიმპათია გამოვლინდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით განხორციელდა ქართული კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონკურსში ქვემო ქართლის რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების II-XII კლასის 800-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან 64 გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის მიზანი კალიგრაფიის ხელოვნების პოპულარიზაცია, მოსწავლეთათვის ტრადიციული ქართული კალიგრაფიის გაცნობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ქართულ დამწერლობასთან, ენასთან, კულტურასთან და საზოგადოებასთან ინტეგრირების ხელშეწყობა იყო.

2.5.2. ზოგადი განათლება

განათლების თითოეული საფეხური (სკოლამდელი, საშუალო, უმაღლესი, პროფესიული, ზრდასრულთა) ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე განათლების მიღების შესაძლებლობა აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე. 2018 წლის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82 აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი -1.

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გადაიდგა არაერთი ნაბიჯი:

- ❖ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების ხელშეწყობი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების და აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიული სტანდარტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ამ მიზნით დაიწყო, „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 548 პედაგოგმა (სამოქალაქო განათლების და დამრიგებლებმა), ასევე, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ 170-მა მონაწილემ (სულ 718 მასწავლებელი);
- ❖ 50-მდე არაქართულენოვან სკოლაში გაიხსნა სამედიცინო კაბინეტი;

- ❖ საშუალო საფეხური დაასრულა და სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გავიდა 3341 მოსწავლე;
- ❖ საგნის გამოცდაზე და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ტესტირებაზე სომხური, აზერბაიჯანული ან რუსული ენა საგამოცდო ენად აირჩია 1202 აპლიკანტმა;
- ❖ 2018 წლის ივნისში დასრულდა საგნობრივი მეთოდის ყველა (6) მოდულის თარგმნა და რედაქტირება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე;
- ❖ არაქართულენოვან სკოლებში თანამედროვე სასწავლო მეთოდების დანერგვის მიზნით, ზოგადპროფესიული კურსის მესამე („სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“) მოდულის მიხედვით ტრენინგები ჩატარდა 2018 წლის აპრილი - მაისის პერიოდში და გადამზადდა 1421 (68%) არაქართულენოვანი მასწავლებელი;
- ❖ არაქართულენოვანი სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ლიდერობის აკადემია 1,2 და 3-ის ფარგლებში, 2017 წელს ითარგმნა და რედაქტირება განხორციელდა ლიდერობის აკადემია 1-ის ტრენინგ-მოდულები 1-3-ის (სულ 40 სთ) და ლიდერობის აკადემია 2-ის ტრენინგ-მოდულები 1-6 (სულ 80 სთ);
- ❖ ლიდერობის აკადემია 1-ის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა 2017 წლის ოქტომბერში და ტრენინგს დაესწრო 171 (81%) არაქართულენოვანი დირექტორი. ლიდერობის აკადემია 2-ის 1-2 მოდულების ფარგლებში ტრენინგები დაიწყო 2017 წლის დეკემბერში და დასრულდა 2018 წლის მაისში. ტრენინგს დაესწრო 143 (85%) დირექტორი და 124 (81%) ფასილიტატორი.
- ❖ ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს საქართველოს რეგიონების მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის განხორციელებულ ზამთრის და საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 600-ზე მეტმა მოსწავლემ.

2.5.3. უმაღლესი განათლება

ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა, 2010 წელთან შედარებით ექვსმაგია.

2018 წელს ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1231-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 806;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 424;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1;

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე მოიპოვა 190-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 96;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 93;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1;

2.5.4. პროფესიული განათლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ კუთხით, აქტიური საქმიანობა განახორციელა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ. სკოლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მალაღმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის N182 დადგენილებით დამტკიცდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2-დან 4 თვემდე პერიოდს; პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას ვაუჩერის სახით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე პირებად განისაზღვრნენ ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული პირები გათავისუფლდებიან პროგრამაში მონაწილეობის ისეთი სავალდებულო პირობისაგან, როგორც არის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ასეთი დოკუმენტის არქონის გარეშე შეძლებენ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ პირებს სხვა თანაბარ პირობებში არსებობისას, პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ.

2.5.5. ზრდასრულთა განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება

წლის განმავლობაში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამა. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ განხორციელებულ „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდა 81 ბენეფიციარი.

2.6. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

საქართველოში მრავალფეროვანი მემკვიდრეობის თემატური კვლევის მიმართულებით გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- ❖ „თრიალეთის ბერძნული ძეგლების“ ინვენტარიზაციის მიზნით შეგროვდა საარქივო მონაცემები;
- ❖ გამოცხადდა ტენდერი პოლონური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის კომპლექსური და მულტიდისციპლინური კვლევის ფარგლებში საარქივო - საინფორმაციო ბაზაში მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ❖ ბოლნისის მუზეუმში მოეწყო ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შესახებ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია;
- ❖ განხორციელდა საქართველოში არსებული ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიება და მუზეუმში ექსპონირება;
- ❖ განხორციელდა ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურისა და ტრადიციების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის/გამოფენის ორგანიზება;
- ❖ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან სსიპ დავით ბააზოვის სახ. საქართველოს მუზეუმში საგამოფენოდ გადმოტანილი იქნება ორი ებრაულწარწერიანი ქვა (XVIII ს).
- ❖ მუზეუმში-მშვიდობის სივრცე - კულტურათა დიალოგი“ - ებრაული და ქართული საზოგადოებრიობის, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრები და განხორციელდა 20-მდე სხვადასხვა შინაარსის აქტივობა;
- ❖ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადაფინანსებით, გამოიცა (სამეწიფო) გერმანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ პუბლიკაცია „გერმანულ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“.

კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მასშტაბურად აღნიშნა **საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე**, რომლის ფარგლებშიც გაიმართა გამოფენები, კონცერტები, ლიტერატურული საღამოები, კონკურსები, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ეთნიკური უცმირესობების წარმომადგენლები როგორც დედაქალაქიდან, ისე რეგიონებიდან. საიუბილეო დღეებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, დემოკრატიული გზით არჩეული პირველი მუსლიმი ქალის - ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი გაიხსნა. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ძირითად მაზრებში საეროზო არჩევნები ჩატარდა. მათ შორის თბილისის მაზრაში, ყარაიაზის ოლქში. წამყვანი პარტიების - სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების, “ჰუმმეთის”, ეროვნულ-დემოკრატებისა და ესერების კანდიდატებს უპარტიო კანდიდატმა, ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მუსლიმმა ქალმა ფარი-ხანუმ სოფიევამ აჯობა და თბილისის სამაზრო ერობის მეხუთე ხმოსანი გახდა ყარაიაზის ოლქიდან. მის სახელს მიაწერენ არაერთ საქმეს. მათ შორის, მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას.
- ❖ **მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი"** - 2010 წლიდან სხვადასხვა რეგიონში ტარდება ყოველწლიური მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. 2018 წლის განმავლობაში კონცერტები გაიმართა ქ. თელავში და ქ. თბილისში.
- ❖ იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) ჩატარდა **კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება**. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შესრულებული ფოლკლორული ნომრები და სხვადასხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი კერძები.
- ❖ **სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დაგეგმა და განახორციელა მრავალფეროვანი პროგრამა**: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია, შეხვედრა გაიმართა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ (1+4 პროგრამის) მონაწილე სტუდენტებსა და სტაჟორებთან ქ. თბილისში, ასევე წალკის მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეებთან. საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური მიღება. მიღების ფარგლებში გაიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალი პროექტის „გაციანი მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში მომზადებული ვიდეო-კლიპების ჩვენება (5 ვიდეო-კლიპი). პროექტის მიზანია, წარმოაჩინოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი წარმატებული, ნიჭიერი, და საინტერესო თანამოქალაქეები. ამავე დღეს, მოძრაობის თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი იყო პერფორმანსი თემაზე „მრავალფეროვანი საქართველო“.

კვირეული დაიხურა მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალის "ერთი ცის ქვეშ კულტურათა დიალოგი" ფარგლებში ჩატარებული კონცერტებით ქ. თბილისსა და ქ. ახალციხეში.

2.7. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით გაგრძელდა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული **ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის გზით** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, პანკისის ხეობა) მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების შესახებ (ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა).
- ❖ პროექტი **„ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“** - პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებელს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ. 3 რეგიონის (10 მუნიციპალიტეტი) 56 სოფელში, ჩატარდა 80 - ტრენინგი (2133 ბენეფიციარი).
- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. **გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“ შესახებ** (ბოლნისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები). საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სსიპშეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები.
- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით ახალგაზრდებისათვის ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე - „ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“.

ეთნიკურად სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდებისაგან შემდგარმა 30 ჯგუფმა ორდღიანი გადამზადება გაიარა „1+4 სტაჟირების“ პროგრამების, უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. 2019 წლის იანვრიდან ტრენერთა ტრენინგის მონაწილეები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აბიტურიენტებს და სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს 1+4 პროგრამებისა და პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან.

2.8. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში ახორციელებს აღებული ვალდებულებების შესრულებას ადამიანის უფლებათა დაცვის, კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით. აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის მექანიზმების ფარგლებშიც.

2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ითანამშრომლა ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტის დელეგაციასთან და კოორდინირება გაუწია დელეგაციის ვიზიტს საქართველოში, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მესამე მონიტორინგის ციკლის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა. დელეგაციამ გამართა შეხვედრები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტს წარედგინა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში მომზადებული შუალედური ანგარიში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით გაიმართა საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები (კონფერენციები, სემინარები, დისკუსიები) ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხებზე.

2018 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან. ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამავდროულად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები ეთნიკური

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კოორდინირებას უწევდნენ აპარატის საქმიანობას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად განაგრძობს საქმიანობას ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო ინიციატივების პაკეტი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სრულად ამოქმედდება მომავალი წლის დასაწყისიდან და მის ფარგლებში განხორციელდება არაერთი პროგრამა და პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ხელშესახები სარგებლის მიღებას, ასევე ხალხთა შორის კონტაქტების, მიმოსვლის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას. ასევე, განხორციელდება არაერთი პროექტი გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით კიდევ უფრო დინამიური ნაბიჯები გადაიდგმება დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის მშენებლობისა და შერიგებისკენ. კონკრეტული პროექტები მიმართული იქნება მშვიდობის, განვითარებისა და უკეთესი მომავლისკენ, რაც საბოლოო ჯამში მოემსახურება საერთო კეთილდღეობას.

გაგრძელდება ინიციატივების იმპლემენტაცია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის კუთხით. წარმართება საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდისთვის, ასევე სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის. კონკრეტული პროგრამები და ღონისძიებები ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა იდენტობის დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.